British Embassy
Tbilisi

,,უსაფრთხოების ზაფხულის სკოლა“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი სტუდენტებისთვის მართავს ,,უსაფრთხოების ზაფხულის სკოლას“, რომელიც ჩატარდება 2023 წლის 30 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარელის ფილიალში.

ღონისძიება მიმართულია უსაფრთხოების სფეროში სწავლების ხელშეწყობის და ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისკენ.

სკოლის ფარგლებში განიხილება ისეთი თემები, როგორიცაა: გლობალური, რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები; საქართველო და ნატო; საქართველო და ევროკავშირი; ჰიბრიდული საფრთხეები; ტერორიზმი; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; ორგანიზებული დანაშაული და სხვა. თეორიულ კომპონენტებთან ერთად პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ აქტივობებსაც, მათ შორის, სამუშაო ჯგუფებში მუშაობას; ლიდერობის და გუნდურობის სესიებს, ანალიტიკურ სავარჯიშოებს; პრეზენტაციებს; როლურ თამაშებს და სიმულაციებს. „სტუმრის საათის“ ფორმატში მონაწილეები შეხვდებიან უსაფრთხოების სფეროს ექპერტებს და სპეციალურ სტუმრებს. გარდა ამისა, მონაწილეებისთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა ფიზიკური აქტივობები და კულტურული ღონისძიებები.

პროგრამა შემუშავებულია წამყვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ და ის ხორციელდება საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით.

სასწავლო კურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, უსაფრთხოების კვლევების, ტექნოლოგიების, უცხო ენების და სხვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებიდან.

კანდიდატი აუცილებელია აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- უნდა იყოს სახელმწიფო ან კერძო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის ან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე.

მონაწილეთა შესარჩევი კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- აპლიკაციების გადარჩევა;
- გამოცდა ინგლისურ ენაში (კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დონის სერტიფიკატს, გათავისუფლდება გამოცდისგან);
- გასაუბრება.

ზაფხულის სკოლაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა აუცილებელია წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც მოიცავს სამოტივაციო წერილსაც (სააპლიკაციო ფორმა: https://bit.ly/3Nr58w4);
- დეკანის მხარდამჭერი წერილი;
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შერჩეულ კანდიდატებს შესაძლოა მოეთხოვოთ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2023 წლის 22 ივნისის ჩათვლით შემდეგ ელ. ფოსტაზე: securitycamp@ssg.gov.ge (გთხოვთ, მეილის სათაურის ველში მიუთითოთ: ,,უსაფრთხოების ზაფხულის სკოლა 2023“).